



ანოტაცია
„დამფუძნებლისთვის უსასყიდლოდ გაწეული მომსახურების დაბეგვრა“ №2637
სიტუაციური სახელმძღვანელოს თაობაზე

სიტუაციური სახელმძღვანელო არეგულირებს დამფუძნებლისთვის უსასყიდლოდ გაწეული მომსახურების მოგების გადასახადით დაბეგვრის საკითხს.

სიტუაციური სახელმძღვანელოს თანახმად, შპს „X“-ს, რომელიც ეწევა სასტუმრო მომსახურებას, 2017 წლის აპრილის თვეში ეწვია დამფუძნებელი, რომელიც არ არის საწარმოს დაქირავებული პირი. საწარმომ დამფუძნებელს უსასყიდლოდ აპრილის თვეში გაუწია სასტუმრო მომსახურება, რომლის საბაზრო ღირებულება შეადგენდა 5 000 ლარს.

საგადასახადო ანგარიშგება შპს „X“-ს არ მოუხდენია.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 97-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, „მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა“. ამასთან, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98³ მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქონლის მიწოდება ან მომსახურების გაწევა, რომლის მიზანი არ არის მოგების, შემოსავლის ან კომპენსაციის მიღება, უსასყიდლოდ მიწოდებად ითვლება. ამავე კოდექსის 97-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, ამ კოდექსის 98¹–98⁴ მუხლებით გათვალისწინებული გადახდების/განაცემების არაფულადი ფორმით განხორციელების შემთხვევაში მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი განისაზღვრება მიწოდებული საქონლის/გაწეული მომსახურების საბაზრო ფასით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, დამფუძნებლისათვის სასტუმრო მომსახურების გაწევა წარმოადგენს უსასყიდლოდ მომსახურების გაწევას, რომელიც ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას საბაზრო ფასის შესაბამისად. საწარმო ვალდებული იყო, აპრილის თვეში ბიუჯეტში გადაეხადა 882 ლარი მოგების გადასახადი ($5\,000/0,85 \cdot 15\% = 882$).

შესაბამისად, საწარმოს დაერიცხება მოგების გადასახადი და დაჯარიმდება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 275-ე მუხლის შესაბამისად, მოგების გადასახადის დეკლარაციაში გადასახადის თანხის შემცირებისათვის.